ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) 2021 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება

Simonsen & Weel A/S v Regions, Case C-23/20; ECLI:EU:C:2021:490

მნიშვნელოვანი ამონარიდი გადაწყვეტილებიდან:

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU) განმარტა, რომ **ჩარჩოშეთანხმებაში მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული მაქსიმალური ღირებულება ან/და რაოდენობა.** როგორც კი მაქსიმალური ლიმიტი მიიღწევა, აუცილებელია ახალი შესყიდვის პროცედურის ჩატარება. დაუშვებელია ჩარჩოშეთანხმების „შეუზღუდავად" გამოყენება, რადგან ეს ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს, როგორებიცაა თანასწორი მოპყრობა და გამჭვირვალობა.

„46 […] დირექტივის 2014/24 33-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მეორე აბზაცის თანახმად, **ჩარჩოშეთანხმება არის** შეთანხმება ერთ ან მეტ შემსყიდველ ორგანიზაციასა და ერთ ან მეტ ეკონომიკურ ოპერატორს შორის, რომლის მიზანია განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში კონტრაქტის დადებაზე უფლების მინიჭების მარეგულირებელი პირობების დადგენა, **განსაკუთრებით, ფასთან და, საჭიროების შემთხვევაში, გათვალისწინებულ რაოდენობასთან დაკავშირებით** […].".

[...]

„52 […] ასევე, დირექტივის 2014/24 33-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მეორე აბზაცი ადგენს, რომ ჩარჩოშეთანხმების მიზანია, **„საჭიროების შემთხვევაში"**, განსაზღვროს **გათვალისწინებული რაოდენობა. სიტყვების „საჭიროების შემთხვევაში" გამოყენებით**, ეს დებულება ცხადყოფს, კონკრეტულად მისაწოდებელ რაოდენობასთან დაკავშირებით, რომ **ეს რაოდენობა, შეძლებისდაგვარად, უნდა განისაზღვროს ჩარჩოშეთანხმებაში** […]".

„54 […] თუმცა, **დირექტივის 2014/24 მე-18 მუხლით გათვალისწინებული თანასწორი მოპყრობისა და გამჭვირვალობის პრინციპებისა** და ამ დირექტივის ზოგადი სქემის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულების შესახებ შეტყობინებაში **ჩარჩოშეთანხმებით გათვალისწინებული მიწოდების მაქსიმალური ღირებულების მიუთითებლობა მიუღებელია[...].".**

„61 […] ევროკავშირის სამართლის **ფუნდამენტური პრინციპები, როგორებიცაა თანასწორი მოპყრობა და გამჭვირვალობა, გამოიყენება ჩარჩოშეთანხმების დადებასთან მიმართებით;** [...] თანასწორი მოპყრობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპების გარდა, მათგან გამომდინარე **გამჭვირვალობის პრინციპი ასევე გულისხმობს, რომ კონტრაქტის დადებაზე უფლების მინიჭების პროცედურის ყველა პირობა და დეტალური წესები უნდა განისაზღვროს მკაფიოდ, ზუსტად და ერთმნიშვნელოვნად** ხელშეკრულების შესახებ შეტყობინებაში ან სატენდერო დოკუმენტაციაში […]."

„63 […] ამდენად, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სავარაუდო რაოდენობის ან/და სავარაუდო ღირებულების, აგრეთვე **ჩარჩოშეთანხმებით გათვალისწინებული მიწოდების მაქსიმალური რაოდენობის ან/და მაქსიმალური ღირებულების მითითება ტენდერის მონაწილისთვის მნიშვნელოვანია,**

რადგან იგი სწორედ ამის დადგენის საფუძველზე **შეძლებს შეაფასოს, შეასრულებს თუ არა ჩარჩოშეთანხმებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს** [...]“.“

„74 [...] ამდენად, დირექტივის 33-ე მუხლი და მისი მე-18 მუხლით გათვალისწინებული თანასწორი მოპყრობისა და გამჭვირვალობის პრინციპები განიმარტება ისე, რომ ხელშეკრულების შესახებ შეტყობინებაში **მითითებული უნდა იყოს** სავარაუდო რაოდენობა ან/და სავარაუდო ღირებულება, **აგრეთვე ჩარჩოშეთანხმებით განსაზღვრული მიწოდების მაქსიმალური რაოდენობა ან/და მაქსიმალური ღირებულება, რომლით განსაზღვრული ლიმიტის მიღწევის შემდეგაც შეთანხმება ძალას დაკარგავს** [...]“.“

მოკლე მიმოხილვა:

2014 წლის 26 თებერვლის ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2014/24/EU 33-ე მუხლი 1-ლი პუნქტი, ამავე დირექტივის მე-18 მუხლთან ერთად ისე უნდა განიმარტოს, რომ ხელშეკრულების შესახებ შეტყობინებაში აუცილებელია მიეთითოს იმ მიწოდებების სავარაუდო რაოდენობა ან/და სავარაუდო ღირებულება, ასევე მაქსიმალური რაოდენობა ან/და მაქსიმალური ღირებულება, რომლებიც ჩარჩოშეთანხმების ფარგლებში ხორციელდება, ხოლო როგორც კი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზღვარი მიღწეული იქნება, აღნიშნული ხელშეკრულება ძალას დაკარგავს.

ეროვნული კანონმდებლობის ნორმის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების საფუძველი	საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების დანართი XVI-B XVI-C XVI-H
ევროკავშირის სამართლებრივი აქტი, რომელთანაც მოხდა ეროვნული ნორმის დაახლოება	ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 26 თებერვლის დირექტივა 2014/24/EU სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, რომელიც აუქმებს 2004/18/EC დირექტივას
ევროკავშირის დებულება	დირექტივის 2014/24/EU 33-ე მუხლის 1-ლი პუნქტი
ეროვნული ნორმა, რომლის დაახლოება ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან უკვე მოხდა	„საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტი (სარეგისტრაციო კოდი: 040090000.05.001.020812; 02/04/2025 კონსოლიდირებული ვერსია)
საკვანძო ტერმინი	**ჩარჩოშეთანხმება**
CJEU-ს პრეცედენტული სამართალი	*2021 წლის 17 ივნისის სასამართლოს გადაწყვეტილება Simonsen & Weel A/S v Region Nordjylland og Region Syddanmark, საქმე C-23/20; ECLI:EU:C:2021:490.*

ინფორმაცია დამუშავებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტის მიერ, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზის საფუძველზე.

ანალიზი განკუთვნილია მხოლოდ საინფორმაციო და საგანმანათლებლო მიზნებისთვის და არ ასახავს რომელიმე ორგანიზაციის, დაწესებულების ან სუბიექტის შეხედულებებს. ანალიზის სიზუსტე, სისრულე და გამოყენებადობა უნდა გადამოწმდეს შესაბამის იურიდიულ პროფესიონალებთან და არ უნდა ჩაითვალოს იურიდიულ რჩევად.